# ხელშეკრულება №3

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. მცხეთა -- 2019 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის ფარნაოზ იორდანიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს "ჯეო კუბი 2010"-ის დირექტორი გია ქიტუაშვილი, შემდგომში "შემსრულებელი"**, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართი N1-ში დასახელებული სამუშაოები, რომელთაც ,,შემსრულებელი" შეუსრულებს ,, შემსყიდველს" (CPV კოდით 90900000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 70 ( სამოცდაათ ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებლს

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი ) საბანკო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

1.1 მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი- ქ. მცხეთა, აღმაშენებლის 73-ი.

2.2 შემსრულებელი მომსახურებას განახორციელებს ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 16 მარტამდე .

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს შემსრულებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს შემსრულებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით შემსრულებლისთვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 შემსყიდველს არა აქვს უფლება მოითხოვოს მორიგი დამუშავებისას, აუცილებლად ჩატარდეს მუშაობა ობიექტის მთელ ფართობზე, რაზედაც დადებულია ხელშეკრულება, თუ ცენტრის ჩვენებით ეს საჭირო არ არის.

5.4. **შემსრულებელი იღებს ვალდებულებას:**

1. ჩაატაროს მუშაობა თანამედროვე მოქმედი ნორმატიული აქტების მეთოდიკისა და ინსტრუქციების მიხედვით.
2. დროულად უზრუნველყოს სამუშაოთა სათანადო ხარისხი და ეფექტურობა.
3. სისტემატიურად შეისწავლოს ობიექტის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სამუშაოთა ეფექტურობის ამაღლების მიზნით. შემსრულებლის მიერ მიცემული წინადადებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სადეზინფექციო ცენტრი იხსნის პასუხისმგებლობას პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ეფექტურობაზე.

**შენიშვნა:** ა) მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე ფართობში უნდა შევიდეს როგორც საცხოვრებელი, ასევე არასაცხოვრებელი ფართობი: სარდაფები, საკუჭნაოები, სამზარეულო, დერეფანი, კიბის ტიხარი და სხვა დამხმარე სათავსოები.

ბ) შენობაში, სადაც ტექნიკური მიზეზების გამო ვერ იქნა უზრუნველყოფილი მღრღნელშეუვალობა სათანადო სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა, რაც უარყოფითად მოქმედებს პროფილაქტიკურ ღონიშძიებათა ეფექტურობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს შემსრულებლის უხარისხო მუშაობად.

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი

უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ შემსრულებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11.**

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ე
მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ფარნაოზ იორდანიშვილი.

11.2 . ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების
აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია ხელოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისამდე.

**მუხლი 14. სხვა პირობები**

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

| | |
|---|---|
| | შემსრულებელი |
| შემსყიდველი | |
| **მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი** | **შპს „ჯეო კუბი 2010"** |
| მისამართი: ქ. მცხეთა, | |
| აღმაშენებლის 73 | ს.ს „საქართველოს ბანკი" |
| ტელეფონი: 551173312 | ბ/კ BAGAGE22 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: №236036990 | ა/ა GE09BG0000000431254500 |
| საბანკო რეკვიზიტები: | ს/კ 436033221 |
| **სახელმწიფო ხაზინა** | |
| უფროსი | დირექტორი |
| ----------/ფარნაოზ იორდანიშვილი/ | ---------- / გია ქიტუაშვილი / |

Gia Kituashvili

Digitally signed by Gia Kituashvili
Date: 2019.03.13 15:17:23 +04'00'

დანართი N1

| სამუშაოს დასახელება | ფიზიკური ფართობი | ზომის ერთეული | დამუშავების ჯერადობა წელიწადში | ოპერატიული ფართობი | ზომის ერთეული დამუშ. ფასი | სულ ოპერ.ფართობის დამუშავების ღირ-ბა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეზინფექცია | | | | | | |
| 2. დერატიზაცია | 175 | მ$^2$ | 1 | 175 | 0.40 ლარი | 70 ლარი |
| 3. დეზინსექცია დაფრთ. ბუზების წინააღმდეგ. | | | | | | |
| 3ა. ტარაკნები და სხვა მწერები | | | | | | |
| 4. ეზოს სანიტარული დანადგარების დეზინსექცია | | | | | | |
| 5. სულ: | | | | | | 70 ლარი |

რესურსცენტრის უფროსი: / ფ.იორდანიშვილი /

Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia
Educational Resource Center
236036990

შპს „ჯეო კუბი 2010" დირექტორი: / გ. ქიტუაშვილი /

Gia Kituashvili

Digitally signed by Gia Kituashvili
Date: 2019.03.13 15:18:17 +04'00'